<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 19.02.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.04.001.016100) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და 75-ე მუხლს:

ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.$გ^1$“ ქვეპუნქტი:

„ე.$გ^1$) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობებს, ნებართვის გაცემის წესს, ნებართვის მოქმედების ვადას, ნებართვის გაცემის ფასსა და მისი გადახდის წესს;“;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.$ე^1$“ და „ე.$ე^2$“ ქვეპუნქტები:

„ე.$ე^1$) ადგენს და თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქუჩების ჩამონათვალს, სადაც ავტობუსები (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერდებიან მხოლოდ გაჩერებებზე;

ე.$ე^2$) ადგენს და თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატვირთო ავტომობილის ან/და სატრანსპორტო საშუალებით პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის მიწოდებისთვის/ტრანსპორტირებისთვის განსაზღვრული ადგილის ან/და დროის შესახებ წესს;“;

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.$ვ^1$“ ქვეპუნქტი:

„ე.$ვ^1$) გასცემს საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვას ან ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილებას ანიჭებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**